თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2568761

ნომერი: AR1398208

თარიღი : 19.04.2016

გაცემის თარიღი : 27.04.2016

გაცნობის თარიღი : 27.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის , N 50 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანი ჯიმშელეიშვილი პ/ნ 01008034576
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 54ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1398208 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #50-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 05 აპრილის #2522647 გადაწყვეტილებით გაიცა დადებითი ქალაქგეგმარებითი

დასკვნა, #AR1390964 განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, #01.14.11.004.013 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დროებითი სამშენებლო ღობის მოწობასთან დაკავშირებით.

2016 წლის 25 აპრილს #2561129 ბრძანებით ქ. თბილისში, გამზირი ი. ჭავჭავაძის, #50, სს "m2 უძრავი ქონება"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.004.013), შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა.

2016 წლის 01 მარტის #AR1381898 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი ჩირაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #50-ში (ს/კ #01.14.11.004.013) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.